პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2026 წლის __მარტი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2025 წლის III-IVკვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ანგარიში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — რევაზ დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4826068188**
თარიღი: **09/03/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: საქართველო, ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გიგზავნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის ანგარიშს 2025 წლის III – IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი : 9 ფურცლად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის ანგარიში 2025 წლის III და IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

საანგარიშო პერიოდში მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, პრაქტიკულ ღონისძიებებს ახორციელებდა დაგეგმილი სხვადასხვა მიმართულების ინფრასტრუქტურული პროექტების მითითებულ ვადებში დასრულებისა და მათი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის.

2025 წელს მუნიციპალიტეტში რგ(პ)ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის, ჯამურად გამოყოფილმა თანხამ 22 მლნ. ლარს გადააჭარბა. მათ შორის: გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთებისათვის შესრულდა 15,199.0 ლარის სამუშაოები, სანიაღვრე არხების ექსპლოატაცია/ რეაბილიტაციისათვის-1,877.3 ლარის, ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციისათვის -401,6 ლარის, საზოგადოებრივი სივრცეების - მოწყობა რეაბილიტაციისათვის -504.1 ლარის ღირებულების სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში დაიწყო რგ(პ) ფონდის მიერ 2025-2026 წლების დაფინანსების ფარგლებში გათვალისწინებული მსხვილი საგაზო ინფრასტრქტურული სამუშაოები მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში, სახელმეკრულებო ღირებულებით 6320792 ლარი. მე - 4 კვარტლის ბოლოსათვის დასრულებული იყო სამუშაოების მთლიანი მოცულობის 95%. დარჩენილი სამუშაოები მ/ წლის იანვრის თვეში დასრულდა.

შედეგად მუნიციპალიტეტის 11 სოფელში შიდა სასოფლო გზებზე და სხვადასხვა უბნებში ბეტონის საფარი მოეწყო : სოფელ ხომულში 26-ე ქუჩასა და შიდა ქუჩებზე, სოფელ გვიშტიბში ბენდელიანების, კირთაძეების და ნიჟარაძეების უბნებში, ასევე პირველ ქუჩაზე პირველ ჩიხში, ჩავჩიძეების უბანში და №17 ქუჩაზე, სოფელ თერნალში მე-15, მე-18, 21-ე ქუჩებზე და ჩაის ფაბრიკის დასახლებაში, სოფელ ქვიტირში, სოფელ ქვედა მესხეთში ნარეშელაშვილების უბანში, სოფელ გეგუთში მეურნეობის დასახლებაში, სოფელ ყუმისთავში, სოფელ წყალტუბოში, სოფელ ქვილიშორში, რუშავას უბანში, ასევე სოფელ პატრიკეთში და ტყაჩირში შიდა სასოფლო გზებზე.

საანგარიშო წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და მ/ წლის თებერვლის დასაწყისში დასრულდა 2024 წლის სექტემბერში რგ(პ)ფონდის მიერ მიერ დაფინანსებული საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები **სოფელ მუხიანში** (აბდალაძე-ფხაკაძეების უბნებში), სოფელ **საყულიაში** (წისქვილის, მეკვერიების, ლომიძეებისა და კაშიას უბნებში), სოფელ **ოფურჩხეთში** ახალი სასაფლაოს გზის, სოფელ **ჯიმასტაროში** (მანაგაძეების, მელქაძეების, ტურაბელიძეებს უბნებში ყოფილი სკოლის უკან, ჩაკვეტაძეებისა და ხელაიების უბნებში) , სოფელ **გუმათში** (ავალიანების, დაჩების, ველას უბნებში), სოფელ **ჩუნეშში** (მე-10 ქუჩაზე), **ზედა ჩუნეშში** (ლორთქიფანიძე-თვალოძეების უბანში) , სოფელ **ყუმისთავში** (შალამბერიძეების უბანში), სოფელ **ბანოჯაში** (39-ე ქუჩაზე), სოფელ **მაღლაკში** იმერეთის საყრდენ პუნქტში (ეკომიგრანტთა დასახლება) და ჭელიძეების უბნებში რომელთა სახელშეკრულებო ღირებულება 8395000 ლარს შეადგენდა. სოფელ ოფშკვითში გრძელდება სანიაღვრე სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში **დაიწყო და ამჟამადაც მიმდინარეობს** რგ(პ) ფონდის მიერ დაფინასებული კიდევ ერთი მსხვილი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ: სოფ. საჩხეურისა და დღნორისის დამაკავშირებელი გზის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები. გასული წლის სექტემბერში დაიწყო და **მიმდინარეობს** სოფ. ფარცხანაყანევში სალიის უბანში, გოცირიძეების უბანში შიდა გზების ბეტონის საფარით მოწყობის, სოფელ ფარცხანაყანევში კოპიტნარის დევნილთა დასახლებაში საავტომობილო გზის ბეტონის საფარით და სანიაღვრე სისტემის მოწყობის, სოფელ გეგუთში მეურნეობის დასახლებაში, სოფელ ოფშკვითში ბაბუნაშვილების უბანში, ბანძელაძეების უბანში, ასევე სოფელ ბენთქოულაში, სოფელ ყუმისთავში ტუსკაძეების უბანში და სოფელ საყულიაში სოფლის შიდა საუბნო გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები.

ადგილობრივი ბიუჯეტის სხვადასხვა პროგრამული მუხლებიდან 2025 წელს მხოლოდ საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის 5,04 მლნ. ლარი იყო გამოყოფილი. შესაბამისი სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში ხორციელდებოდა მთელი წლის განმავლობაში.

გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში **დასრულდა** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში: კერძოდ, გეგუთში, ზარათში, მაღლაკში მე-10 ქუჩის 1-ელ და მე-2 ჩიხებში, მე-15, მე-18, მე-19 და 42-ე ქუჩებზე, ქვილიშორში ცენტრალური გზის, ქვიტირში მე-19 ქუჩაზე, სოფელ ცხუნკურში, ასევე ქალაქ წყალტუბოში აფხაზეთის, ბარათაშვილის, ჩახრუხაძის და ხანძთელის ქუჩებზე გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაციის, სოფ. მუხიანში და სოფ. ზედა მესხეთში მგზავრთა მოსაცდელების მოწყობის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის მიზნით შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სხვადასხვა მონაკვეთებზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოსახლეობისათვის მგზავრობა გახდა უფრო უსაფრთხო და კომფორტული, შემცირდა გადაადგილების დრო და ტრანსპორტირების ხარჯები, რაც სასიკეთოდ აისახა მათი სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

2025 წელს ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან 2,223800 ლარი გამოიყო სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია - რეაბილიტაციისათვის, მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის - 2,039,7000 ავარიული სახლების და შენობების რეაბილიტაციისატვის -653800 ლარი, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა- რეაბილიტაციისათვის-941000 ლარი. 200 000 ლარამდე გამოიყო გარე განათების ახალი ქსელების მოწყობისათვის.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და **დასრულდა** ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე ჯორჯ ბალანჩინისა და შალვა ნუცუბიძის მემორიალური ბიუსტებისა და კვარცხლბეკების მოწყობის, ასევე მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის, სოფელ ზედა ქვილიშორში სასმელი წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები (სახელშეკრულებო ღირებულება-767925 ლარი).

სხვადასხვა ლოკაციებზე შეუფერხებლად გრძელდებოდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული სპორტული მოედნების მოწყობა, სკვერების და საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობის სამუშაოები.

სოციალურად დაუცველ შვიდ ოჯახს აუშენდა და კერძო საკუთრებაში გადაეცა ტიპიური საცხოვრებელი სახლები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის სამუშაოებისთვის საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან 700150 ლარი გამოიყო და განხორციელდა გზების დაზიანებული მონაკვეთების გაწმენდითი, აღდგენითი და სხვა სახის სამუშაოები.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამული მუხლიდან ჯამურად 1 მლნ. ლარზე მეტი იყო გამოყოფილი. საანგაროშო პერიოდში დასრულდა ამ მიმართებით დაფინანებული 32 საცხოვრებელი კორპუსის და სადარბაზოების შეკეთებითი სამუშაოები.

2025 წლის 20 სექტემბერს მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარის) ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო დაფინანსება და აღდგენილი იქნა დაზიანებული სახურავები სოფ. ფარცხანაყანევში კოპიტნარის დევნილთა დასახლების N 9 , ქ. წყალტუბოში 9 აპრილის ქ. პირველი შესახვევი N1 და აკ. შანიძის ქ. N 4 სახოვრებელი კორპუსებში.

2025 წლის მაისში დაიწყო და ძირითადად მ/ წლის მესამე კვარტალში დასრულდა ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, დაფინანსებული სამუშაოები, რომლებიც ტრადიციულად მოსახლეობის აქტიური ჩართულობით შეირჩა. განხორციელდა სხვადასხვა მიმართულების 74 ინფრასტრუქტურული პროექტი, სხვადასხვა ლოკაციებზე გამავალ შიდა სასოფლო გზებზე დაიგო ბეტონის

საფარი, მოეწყო გარე განათების ქსელები, სკვერები, ფანჩატურები და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები. შეძენილი იქნა სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალები და ა. შ. ამ მიმართებთ ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან 800 000 ლარზე მეტი იყო გამოყოფილი.

"მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" 2025-2026 წლებში გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში **დაიწყო** და 2026 წელს დასრულდება ქალაქ წყალტუბოში, ახალგაზრდობის, ნუცუბიძის, დედა-ენის , გურამიშვილის , 9 აპრილის ქუჩაზე მე-3 შესახვევში, ნინოშვილის, ლერმონტოვის, დუმბაძის,, ბარათაშვილის , ჭონქაძის, გურიელის, ბესიკის, გამსახურდიას , 9 მარტის, შანიძის, რუსთავის, თბილისის ,ბარნოვის, დადიანის, კლდიაშვილის , ჭაბუკიანის, თაყაიშვილის , კოლხეთის ე, ერისთავის, ფარნავაზ მეფის, მირიან მეფის, გელათის და ჩოლოყაშვილის ქუჩებზე გზების ასფალტო-ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები.

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას გაწეული მომსახურებისათვის სექტემბერ - დეკემბრის თვეებში ჯამურად აუნაზღაურდა -119 266 ლარი.

საანგარიშო პერიოდში დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან საჯარო სკოლებში მცირე სახის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი დაფინანსებით (830000 ლარი) დასრულდა სოფ. გეგუთში, ვარციხესების დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლაში გათბობის სისტემის მოწყობის, გეგუთის N 1 საჯარო სკოლაში ბიოტალის

სისტემაზე დამონტაჟებული სპეციალური გამწმენდი აგრეგატის აღდგენის, სოფ. ცხუნკურის N 2 საჯარო სკოლის კედლისა და საძირკვლის გამაგრების, სოფ. ფარცხანაყანევის N1 საჯარო სკოლასა და სოფ. მუხიანის საჯარო მცირე სახის სარემონტო- სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიმდინარეობს სოფელ სოფელ გეგუთის N2 საჯარო სკოლის, სოფელ გვიშტიბის საჯარო სკოლის, სოფელ სორმონის საჯარო სკოლისა და სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლასთან არსებული მეორე უბნის დაწყებითი სკოლის, სოფ ბანოჯის საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოები.

მიმდინარეობს ასევე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში საჯარო სკოლის სარემონტო და სოფელ ბანოჯაში საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობის და შენობის სარემონტო სამუშაოები.

შესყიდვების განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში მომზადდა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში აიტვირთა ზეემოთ ჩამოთვლილი ხელშეკრულებების სატენდერო განცხადებები, სატენდერო დოკუმენტაცია, ხელშეკრულებების პროექტები, ასევე სატენდერო კომისიის სხვა დოკუმენტაცია, განხორციელდა 2022-2023-2024 წლებში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების ნაწილზე და 2025 წელს გაფორმებულ მიმდინარე ხელშეკრულებებზე ფაქტობრივი გადახდების ამსახველი ყველა დოკუმენტაციის (საგარანტიო თანხის 2.5%-ის ჩარიცხვები, მიღება- ჩაბარების აქტები, საგადახდო მოთხოვნები, ექსპერტიზის დასკვნები და ა.შ.) ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (www.spa.ge). აგრეთვე, განყოფილების მიერ მომზადდა და აიტვირთა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებაში მონაწილე პირთა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის

დამადასტურებელი ხელწერილები. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, განხორციელდა „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ მერის 2024 წლის 20 ნოემბრის №ბ48. 482432513 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ბრძანების პროექტ(ებ)ის მომზადება (სულ 10 შესყიდვების გეგმის ცვლილება) და კორექტირებული მონაცემების შეყვანა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (ePLAN მოდულში ატვირთვა). ყოველდღიურ რეჟიმში ხდებოდა ინფრასტრუქტურული და არაინფრასტრუქტურული პროექტების თაობაზე გამოცხადებული ტენდერების შესახებ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ Google Drive-ში ატვირთულ ცხრილებში მონაცემების შეყვანა/განახლება.

2025 წლის III- IV კვარტალში გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების სხვადასხვა მი მართულების 34 ინფრასტრუქტურული ხელშეკრულება ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან. აქედან 22 იყო მრავალწლიანი. მიმდინარე სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დასრულებასა და ხარისხზე სამსახურის მიერ უფლებამოსილების ფარგლებში მონიტორინგს ახორციელებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანებით შექმნილი მუშა-ჯგუფი.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ განხილული და შესწავლილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები 400- ზე მეტი მოქალაქის განცხადება და წერილი მუნიციპალიტეტში ინფრასტუქტურის, კეთილმოწყობის, გარემოს დაცვის, სასმელის წყლისა და საკანალიზაციო სისტემების, სარწყავი არხების გაწმენდის, სპორტული

მოედნების, სკვერების და გარე განათებების მოწესრიგებასთან დაკავშირებით, რაც ხელს უწყობს სამსახურს ყოველდღიური საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში.

სამსახურის უფროსი: მ. ჩხეიძე